

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის

ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი

22 ნოემბერი, 2021 წელი

14.00 საათი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვლადიმერ ნანაძე**.

საკრებულოს წევრები: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე**, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე **ბესიკ კუპრაძე**, საკრებულოს წევრი **ზაზა წულაძე**, საკრებულოს წევრი **კარლო კვიტაიშვილი**.

მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გია ნაჭყეზია**, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ია ჩხაიძე**, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი**, მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი **მამუკა ვადაჭკორია**, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა**, მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი **დავით პატარაია**.

საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **ნანა ზბეკალავა**, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ნუნუ სულაკაძე**, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **რუსუდან გვარჯალაძე**.

ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დირექტორი **დიტო მარშანიშვილი**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მთავარი ბუღალტერი **მედეა ხუხუნაიშვილი**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორი **გიორგი ფაცურია**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის მთავარი ბუღალტერი **ბიძინა ზენაიშვილი**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორი **ლია ურუშაძე**, შ.პ.ს ლანჩხუთი-ს დირექტორი **ლევან იმნაძე**, შ.პ.ს ლანჩხუთი-ს ბუღალტერი **თემურ ხუხუნაიშვილი**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მენეჯერი **ნატო მენაღარიშვილი**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბუღალტერი **ლუიზა სარიშვილი**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილე **სოფიო ჩხაიძე**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მთავარი ბუღალტერი **მარინა ქანთარია**, შ.პ.ს. ქალთა საფეხბურთო სკოლის „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს მთავარი ბუღალტერი **კახა ურუშაძე**, ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციების ცენტრის დირექტორი **გელა ზოიძე**, ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციების ცენტრის ბუღალტერი **ლელი მშვიდლობაძე**,

მერიის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი **ნინო მშვიდლობაძე**.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღევანდელი შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. შეხვედრას ასევე ესწრებიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის როგორც ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები, ასევე მერიის სამსახურების უფროსები, რომელთა მხრიდან წამოჭრილ შეკითხვებს მუნიციპალიტეტის მერი და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი მაქსიმალურად გასცემენ პასუხს.

ამის შემდეგ, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2022-2025 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის პროექტით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 13 მილიონ 434,8 ათასი ლარით განისაზღვრა. ა(ა)იპ-ების მოთხოვნა ბიუჯეტთან დაკავშირებით შესაძლებლობების ფარგლებში დაკმაყოფილდა.

2022 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნა:

100 ათასი ლარით დაფინანსდება პროექტი "ახალგაზრდული ცენტრი"-სთვის, რომელიც ითვალისწინებს ადაპტირებული სივრცის მოწყობას.

მეწარმეთა ხელშეწყობის თანადაფინანსების პროგრამა -100 ათასი ლარი.

150 ათასი ლარით განისაზღვრა საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვისა და ჰკვიანი კამერების დაყენების თანხა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორმა **ლია ურუშაძემ** აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტი აღნიშნულ ა(ა)იპ-ს განესაზღვრა 325 000 ლარით, რაც ძირითადად გათვლილია შტატით და შტატგარეშე მოსამსახურეების ხელფასებისა და ოფისის ხარჯის გასასტუმრებლად. როგორც ცნობილია, სამხატვრო სკოლას საკუთარი შემოსავალი არ გააჩნია, ხოლო სამუსიკო სკოლები ოფისის ხარჯებს თავისი შემოსავლებიდან ფარავს. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორმა ყურადღება გაამახვილა იმასთან დაკავშირებით, რომ სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში პედაგოგების ხელფასები 2007 წლიდან არ შეცვლილა ანუ ერთი საათის ანაზღაურება არის იგივე, რაც იყო 2007 წელში. სამხატვრო სკოლაში უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგი, რომელიც მუშაობს სრული დატვირთვით, ღებულობს 270 ლარს, ხოლო საშუალო სპეციალური განათლების შემთხვევაში-256 ლარს. ამასთან, რეგიონში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის პედაგოგების ანაზღაურება ყველაზე დაბალია. როგორც ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, ყველასთვის ცხადია, რომ ერთბაშად შეუძლებელია ამ თანხის დამატება, მაგრამ საკითხის შესახებ არაერთხელ უსაუბრია და ამჟამადც აპირებს

განცხადებით მომართოს მუნიციპალიტეტის მერს, რომ ეტაპობრივად მოხდეს პედაგოგებისთვის საათობრივი ანაზღაურების მატება. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორი დაინტერესდა, ფლობენ თუ არა რაიმე ინფორმაციას სახელოვნებო სკოლის პედაგოგებისთვის მატების კუთხით ხელფასების გადახედვასთან დაკავშირებით, რადგან ერთადერთი ნაბიჯი, რაც ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერის დახმარებით განხორციელდა იყო ის, რომ სუფსის სამუსიკო სკოლის პედაგოგების საათობრივი ანაზღაურება მოწესრიგდა და გაუთანაბრდა ლანჩხუთის სამუსიკო სკოლის პედაგოგის ხელფასს. გასათვალისწინებელია ის, რომ მათი საოფისე ხარჯები გათვლილია მოსწავლეთა შემონატანების მიხედვით. სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებას, მიუხედავად, მუშაობის ძალიან რთული პირობებისა, რაც განპირობებულია იმით, რომ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი ვერ დადის ან ვერ იხდის სწავლის საფასურს, დაგეგმილი აქვს 9 თვის მანძილზე ადგილობრივ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლებიდან 33 900 ლარის შემოტანა, რაც შემდეგ გადანაწილდება საოფისე ხარჯებზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში ეთანხმება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორს, მაგრამ საკითხთან მიდგომა მდგომარეობს შემდეგში: 10%-იანი მატება გარკვეულწილად დაანონსებულია, მაგრამ ამ ეტაპისთვის რაიმე სახის კონკრეტიზაცია არ არის. აქედან გამომდინარე, რეალურად წარმოდგენილი პროექტი არის 2021 წლის დონეზე. რაც შეეხება სამხატვრო და სამუსიკო სკოლების პედაგოგების ანაზღაურებას, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის აზრით, ამ შემთხვევაში ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მაგალითი არ გამოადგებათ. ამჟამად მოქმედი განაკვეთები მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის გათვალისწინებით შესაბამისობაშია დღეს ქვეყანაში მოქმედ დონესთან. მას მიზანშეწონილად მიაჩნია, საკითხის ირგვლივ ერთობლივი მსჯელობის მიხედვით მოხდეს პრაქტიკული კონკრეტიზაცია.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 25,0 მლნ ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2022-2025 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად 2022 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,8 პროცენტით. მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს. საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენს 13 434 800 ლარს. 2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 13174,5 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 847,7 თასი ლარით (6,9 %-ით).

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9281,9 ათასი ლარით;

ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გათვალისწინებულია - 2026,9 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 337,8 ათასი ლარი;

გზების მიმდინარე შეკეთება-150000 ლარი;

საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება-187800 ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -85,0 ათასი ლარი;

გარე განათება - 560,0 ათასი ლარი;

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 100,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 780,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება. მან ასევე ყურადღება გაამხვილა რეგიონული განვითარების ფონდიდან ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 5%-იანი თანადადაფინანსებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის იგი არაა ჩადებული ბიუჯეტის პროექტში. მომავალი წლის იანვრიდან, როდესაც უკვე ექნებათ თანხა ნაშთის სახით, ამის შემდეგ იქნება ბიუჯეტში გათვალისწინებული ეს 5%, რომელსაც სავარაუდოდ, ტურიზმის კუთხით დაემატება კიდევ 1 %.

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღე გაზრდილია 13,0 %-ით (1070,8 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით.

მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ საუბარია მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ში გარკვეული სახის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რის შემდეგაც დარეგულირდება და გარკვეულ ჩარჩოებში მოექცევა ეს საკითხი. მან ასევე ყურადღება გაამახვილა ხელფასებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს თემა ბიუჯეტში მართლაც ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია.

ამის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერმა მიმართა ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებს და მერიის სამსახურების უფროსებს, რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია და მოწოდებული იდეების თუ ინიციატივების მიხედვით შიდა მონაცვლეობის ხარჯზე შეიძლება რომელიმე მუხლთან დაკავშირებით განხორციელდეს გარკვეული ცვლილება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების მიერ მოხდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. მუნიციპალიტეტის ყველა ა(ა)იპ-ის და მერიის სამსახურისთვის ცნობილია მათი ბიუჯეტის

შესახებ და თუკი ექნებათ რაიმე სახის შენიშვნები ან წინადადებები, ისინი მოწოდებული უნდა იქნას ძირითადი კომისიისთვის, რათა მუნიციპალიტეტის მერთან ერთობლივი განხილვის შედეგად შესაძლებლობიდან გამომდინარე, მოხდეს მათი გათვალისწინება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ სოციალური პროგრამებისთვის გათვალისწინებულია 745,0 ათასი ლარი. ამასთან, სოციალური კუთხით შესაძლებელია რამდენიმე პროგრამის დამატება, რომელთა შესახებ სიტუაციიდან გამომდინარე მომავალი წლის იანვრის თვიდან გახდება ცხადი. რაც შეეხება ორ ახალ პროგრამას, რომელიც მიმდინარე წლიდან დაემატა, მხარდაჭერა ჰპოვა და დროულად განხორციელდა. მთლიანობაში სოციალური პროგრამების დაფინანსება გაიზარდება დაახლოებით 100000 ლარით, სადაც სავარაუდოდ გათვლილი იქნება სოციალურად დაუცველი მარტოხელა მოხუცებისთვის კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებით გარკვეული შეღავათები, რაც მუნიციპალიტეტის მერის აზრით მსჯელობის საგანია, რადგან საბოლოო ჯამში ეს საკმაოდ დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული. მას უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია 100-150 ლარიანი ვაუჩერების გადაცემა, რომელთაც ბენეფიციარები თავიანთი საჭიროებისამებრ გამოიყენებს.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის აგვისტოს თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა, რომლის შესახებ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს მიეწოდა ინფორმაცია. სამსახურის მიერ მოხდა ანალიზი, რომლის შედეგად შეიმუშავა კომინალური გადასახების თანადაფინანსებასთან დაკავშირებით პროექტი, რომელიც შეეხება გარკვეულ მოწყვლად ჯგუფებს, როგორცაა სოციალურად დაუცველი მარტოხელა მოხუცები და სამ შვილიანი დედები, რადგან მრავალშვილიან დედებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი და მეტი შვილი 18 წლამდე, თვითონ სახელწიფო თავისი სუბსიდიის ფარგლებში ისედაც აფინანსებს. აგრეთვე, აქცენტი გაკეთდა მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი პირების და სოციალურად დაუცველი ოჯახის მშობელზე, რომელიც მარტო ზრდის შვილებს. საერთო ჯამში, ეს არის ძალიან მოწყვლადი ჯგუფები. პროექტი სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა და მათი მოსაზრებით ძალიან დიდ თანხაზე არ ადის. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება 100 ან 150 ლარიანი ვაუჩერების გადაცემა, ეს იქნება დაახლოებით 20000 ლარის ფარგლებში, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად წამდვილად არ დააწევბა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსს შესთავაზა წინადადება, რომ ახალი მოწვევის საკრებულოს შეკრების შემდეგ, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურთან ერთად საკრებულოს ყველა კომისიამ და განსაკუთრებით საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ იმსჯელოს აღნიშნული საკითხის შესახებ, რის შემდეგაც იმოქმედებენ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერმა ასევე ყურადღება გაამახვილა მეწარმეთა ხელშეწყობის თანადაფინანსების პროგრამაზე, რომლის მიხედვითაც 100 ათასი ლარი არის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდირება, ხოლო 100000 ლარის დაფინანსება მოხდება დონორი ორგანიზაციების მიერ. მან აღნიშნა, რომ ეს არის საპილოტე პროგრამა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი არის პირველი, სადაც ეს პროექტი ამოქმედდება.

ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციების ცენტრის დირექტორმა **გელა ზოიძემ** განმარტა, რომ მათმა ა(ა)იპ-მ ამ კუთხით გაწია გარკვეული სამუშაოები. თანამშრომლობის ფორმატში გაფორმებული აქვთ მემორანდუმი აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრთან, რომელიც ახორციელებს ანალოგიურ პროექტებს. ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციების ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოიწვიეს

მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილება აქვს და მისი ხელმძღვანელობით აჭარის მასშტაბით ცენტრი ახორციელებს ასეთ საგრანტო კონკურსებს რამდენიმე მილიონიანი ბიუჯეტით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შედგება კონფერენცია, რომელზეც ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ხელმძღვანელი გამართავს პრეზენტაციას გამოცდილების გაზიარების კუთხით. ეს ძალიან კარგი საშუალება იქნება დამწყები მეწარმეებისთვის, რადგან რთული პროცედურების გამო ბევრისთვის მიუღწეველია სახელმწიფო პროგრამები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ ეს არის საპილოტე პროგრამა და წინასწარ არ იცინა, თუ რა შედეგები ექნება. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპისთვის 100 000 ლარი სრულიად საკმარისია, რათა სამომავლოდ შეიქმნას გარკვეული წარმოდგენა ამ პროექტთან დაკავშირებით. რაც შეეხება ხელფასების თემას, ამ კუთხით თვითონ სახელმწიფო დონეზე მიმდინარეობს მუშაობა. მუნიციპალიტეტებს მიაწვდიან გარკვეულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც ადგილზე გაგრძელდება შესაბამისი სამუშაოები. ამის შემდეგ, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მონაწილეობისთვის და უსურვა შემდგომი წარმატებები მათ საქმიანობაში მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

ამით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა დასრულდა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე

 ალექსანდრე მახათაძე